



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1368

ქ. დუშეთი

17 დეკემბერი 2015 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის“ მე-8-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 50-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ა“, „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ

1. გამოცხადდეს კონკურსი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის გამგებლის წარმომადგენლის ლაფანანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში ვაკანტურ თანამდებობაზე დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით;
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განაცხადი მხოლოდ ელექტრონული ფორმით. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადების წარდგენისათვის კანდიდატებს მიეცეთ არანაკლებ 10 დღე კონკურსის სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ გვერდზე გამოცხადების დღიდან.
3. კონკურსის წესით შერჩეული პირების თანამდებობაზე დანიშნისას გამოყენებული იქნეს 3 თვიანი გამოსაცდელი ვადა;



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

/ვ. ჩოხელი/

